ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ნოემბერი 2023

საქართველო

სასტუმრო სექტორის ბიზნეს სტატისტიკა (I-III კვ. 2023)

PMC Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

ნოემბერი 2023

- **2023 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში სასტუმრო სექტორში ბრუნვამ 823.9 მლნ ლარს მიაღწია, რაც 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 10.2%-ით აღემატება.** ეს ზრდა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს 2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ რეკორდულად მაღალ შემოსავალს.
- **2023 წლის I-III კვარტალში სასტუმრო სექტორში როგორც საშუალო დასაქმება, ისე საშუალო თვიური ხელფასი 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 5.7%-ით და 11.4%-ით გაიზარდა.** აღსანიშნავია, რომ 2023 წლის III კვარტალში სასტუმრო სექტორში მთლიანმა სახელფასო ფონდმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და 26.6 მილიონი ლარი შეადგინა.
- **სასტუმრო სექტორში არსებული დინამიკა სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების (HORECA) აგრეგირებული სექტორის დინამიკის მსგავსია.** მიუხედავად ამისა, სასტუმრო სექტორის ზრდა აგრეგირებული სექტორის ზრდას ჩამორჩება.

სასტუმროს ფასების ინდექსი

2023 წლის ნოემბერში საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი) 2022 წლის ნოემბერთან შედარებით 13.2%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასები განსაკუთრებით შემცირდა საოჯახო სასტუმროების კატეგორიისთვის (21.5%-ით). ამავდროულად, 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით, სფი 8.6%-ით შემცირდა.

სასტუმრო სექტორის ბრუნვა





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **2023 წლის I-III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განთავსების საშუალებებზე გაწეულმა ხარჯებმა 4.1 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მთლიანი დანახარჯების 39.7%-ს შეადგენს.** ამ პერიოდში, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განთავსების საშუალებების წილი მთლიან დანახარჯებში 7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

- **2023 წლის I-III კვარტალში სასტუმრო სექტორის ბრუნვამ 823.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის I-III კვარტლის მაჩვენებელს 10.2%-ით აღემატება.** მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ რიცხვს, 2023 წლის I-III კვარტალში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასტუმრო სექტორში ბრუნვა 16.8%-ით გაიზარდა.

- **აგრეგირებულ სექტორში (HORECA) სასტუმრო სექტორის წილი მცირდება.** 2023 წლის III კვარტალში HORECA სექტორის ბრუნვაში სასტუმრო სექტორის ბრუნვის წილმა 44% შეადგინა, რაც ნაკლებია როგორც 2022, ისე 2019 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით. ამის მიზეზი კი, შესაძლებელია, იყოს პანდემიითა და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ცვლილებები ვიზიტორთა მახასიათებლებში.

- **2023 წლის I-III კვარტალში, 2022 წლის I-III კვარტალთან შედარებით, იმ ვიზიტორთა წილი, რომლებიც საქართველოში სტუმრობისას დასარჩენად ირჩევენ სასტუმროებსა (-1.8 პპ) და საოჯახო სასტუმროებს (-1.0 პპ) შემცირდა.** ამავდროულად, გაიზარდა იმ ვიზიტორთა წილი, რომლებიც ქირაობენ სახლს/ბინას (+2.7 პპ) ან რჩებიან მეგობრის/ნათესავის სახლში (+1.0 პპ).

დასაქმება და ხელფასები სასტუმრო სექტორში





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **2023 წლის I-III კვარტალში საშუალო დასაქმება სასტუმრო სექტორში შეადგენდა 14,315 ადამიანს[1], რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5.7%-ით აღემატება.** აღსანიშნავია, რომ სასტუმრო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის დაუბრუნდა ძველ ნიშნულს და 2019 წლის I-III კვარტალში დაფიქსირებული მაჩვენებლის 96.8%-ს შეადგენს.

- **სასტუმრო სექტორში დასაქმების დინამიკა HORECA-ში დაფიქსირებული საერთო დინამიკის მსგავსია.** თუმცა, 2023 წლის I-III კვარტალში სასტუმრო სექტორში დასაქმების წლიური ზრდა ჩამორჩება HORECA სექტორში დასაქმების ზრდას (+9.1% წლიურად).

1 უნდა აღინიშნოს, რომ სექტორში არსებული განთავსების საშუალებების ნაწილი არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, დასაქმების მაჩვენებელი შესაძლოა, მნიშვნელოვნად ნაკლები იყოს სასტუმრო სექტორში დასაქმების რეალურ მაჩვენებელზე.

- **2023 წლის I-III კვარტალში სასტუმრო სექტორში საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 1,619 ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის I-III კვარტალთან შედარებით 11.4%-ით გაზრდილი რიცხვია.** აღსანიშნავია, რომ 2023 წლის III კვარტალში სასტუმრო სექტორში სახელფასო ფონდმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 26.6 მლნ ლარი შეადგინა.

- **სტატისტიკის მიხედვით, საშუალო ხელფასები სასტუმრო სექტორში მუდმივად აღემატებოდა საშუალო ხელფასებს HORECA სექტორში.** 2023 წლის I-III კვარტალში სასტუმრო სექტორში საშუალო ხელფასი 18.6%-ით აღემატებოდა მთლიანი სექტორის საშუალოს. თუმცა, დასაქმების მსგავსად, 2023 წლის I-III კვარტალში სასტუმროს სექტორში საშუალო ხელფასის ზრდა ჩამორჩება HORECA-ს სექტორში დაფიქსირებულ ზრდას (+18.6% წლიურად).

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[2] 2023 წლის ნოემბერში, 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით, 8.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 7.1%-ით შემცირდა.
- თვიური სფი ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში (-1.0%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი გურიაში (-29.5%).
- 2023 წლის ნოემბერში, 2022 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 13.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 12.1%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 21.5%-ით შემცირდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო გურიში (42.9%), ყველაზე ნაკლები კი თბილისში (-23.7%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 ნოე/ 2023 ოქტ	2023 ნოე/ 2022 ნოე	2023 ნოე/ 2023 ოქტ	2023 ნოე/ 2022 ნოე	2023 ნოე/ 2023 ოქტ	2023 ნოე/ 2022 ნოე
კახეთი	-7.9%	3.4%	-19.6%	11.3%	-1.4%	0.5%
იმერეთი	-6.7%	-1.3%	-8.5%	1.5%	-5.0%	-4.2%
გურია	-29.5%	42.9%	-29.5%	42.9%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	-7.6%	-4.2%	-7.4%	2.0%	-10.9%	-34.2%
რაჭა	-	-0.3%	-	-	-	-0.3%
შიდა ქართლი	-3.1%	11.4%	17.0%	3.9%	-9.0%	19.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	7.6%	-2.7%	3.4%	2.1%	11.4%
სამცხე-ჯავახეთი	-1.0%	-0.3%	2.5%	-9.7%	-2.7%	11.4%
მცხეთა-მთიანეთი	-4.1%	-6.0%	-0.1%	-1.6%	-9.4%	-12.0%
თბილისი	-10.7%	-23.7%	-11.5%	-23.8%	-3.9%	-22.2%
სულ ფასების % ცვლილება	**-8.6%**	**-13.2%**	**-9.4%**	**-12.1%**	**-7.1%**	**-21.5%**

2 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის ნოემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[3] **143 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **221 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[4] საშუალო ფასმა დეკემბერში **117 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ნოემბერში **386 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 553 ლარი შეადგინა, თბილისში - 541 ლარი, გურიაში - 358, ხოლო აჭარაში - 299.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 ნოემბერი, ლარი)



3 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

4 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022	I 2023	II 2023	III 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*	436.8*	638.6*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5	1651.70	2706.9
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3	1085.2	1725.1
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.80	1374.7	999.5	3516.6	795.4	1009.1*	1447.1*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	524.7	657.2	180.5	184.7	72.2	103.5	118.6	114.3	408.6	105.0	126.0*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	106.0	119.7	-246.6	-13.6	20.6	15.2	23.0	7.9	66.7	30.1*	-1.5*	19.7*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
კვლევითი ასისტენტი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org